



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 252 2022 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის
შესახებ

1. „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

- ა) **ბაბალაშვილი ნინო** – ა(ა)იპ – საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი – საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) **ბერიძე ზაირა** – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი – საბჭოს წევრი;
- გ) **გამყრელიძე გიორგი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საბჭოს წევრი;
- დ) **გულუა თეა** – გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი – საბჭოს წევრი;
- ე) **ველთაური ნინო** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი – საბჭოს წევრი;
- ვ) **ზაქარეიშვილი მარიკა** – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის – „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი – საბჭოს მდივანი;
- ზ) **თოხაძე თორნიკე** – ა(ა)იპ – საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი – საბჭოს წევრი;
- თ) **კვიციანი ნათია** – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი – საბჭოს წევრი;
- ი) **მებურიშვილი ნატო** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;
- კ) **ნოზაძე მარიამ** – სსიპ – აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი – საბჭოს წევრი;
- ლ) **ქუჩულორია მარიამ** – პროფესიული განათლების ექსპერტი – საბჭოს წევრი;
- მ) **შოთაძე მარიამ** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;

ნ) ჯობაჯა თორნიკე – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამის – „ინტერნეტი განვითარებისთვის“ კოორდინატორი – საბჭოს წევრი.

2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 10 ოქტომბრიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი